

რუსი სამხედროები სოფელ ატოცში რკინის ბოძებს ამონტაჟებენ



ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცში რუსი სამხედროები დღიდან ისევ გამობნდნენ. ისინი ტერიტორიაზე რკინის ბოძებს ამონტაჟებენ. ამის შესახებ პირველი არხის ჟურნალისტი ადგილიდან იუწყება.

ამ დროისთვის უკვე დამონტაჟებულია 50-მდე რკინის ბოძი. სოფლის ერთ ნაწილში მავთულხაზები 2008 წლის შემდეგ არის გავრელებული, ახლა კი ბოძების მონტაჟი დანარჩენ პერიმეტრზე მიმდინარეობს. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ ბოძების მონტაჟს ღობის გაბმა მოჰყვება.

აღნიშნული ტერიტორია დასახლებული ადგილიდან დაახლოებით ერთ კილომეტრშია და სოფლის მოსახლეობა მას საძოვრებად, ასევე სახნავ-სათეს მიწებად იყენებს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, სოფელ ატოცის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო ბორღერიზაციის პროცესი მიმდინარეობს. ფაქტს ეხმაურება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც, რომელიც მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებები.